*დანართი №3*

# შპს მსოფლიო განათლების აკადემიის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ელენე კაკაბაძე

**წევრები:**

ნანა შარაბიძე

მიხეილ ხუციშვილი

თამთა კვინიკაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: შპს მსოფლიო განათლების აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 425060827

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 27 ივნისის MES 2 24 0000764536 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში ვიზიტის შესახებ, შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, ჯგუფის წევრები: ნანა შარაბიძე, მიხეილ ხუციშვილი, თამთა კვინიკაძე) მიერ 2024 წლის 16, 17 და 18 ივლისს შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში (მის. ქ.ბაღდათი შოთა რუსთაველის ქ. N 24) ავტორიზაციის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, დათვალიერდა მატერიალური რესურსები და პრაქტიკის ობიექტი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

## III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| სასტუმრო მომსახურება | არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24 |
| კულინარიის ხელოვნება | არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24 |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**
**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**

არ დაფიქსირებულა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

| | | |
|---|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **4) ადამიანური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **შეესაბამება** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

| | | |
|---|---|---|
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ~■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სასტუმრო მომსახურება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კულინარიის ხელოვნება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

**არ დაფიქსირებულა**

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

*ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

**არ გაცემულა**

*ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

**არ გაცემულა**

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**არ გაცემულა**

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს**

შპს "მსოფლიო განათლების აკადემია" არის პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა შექმნას რეგიონისთვის და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და უწყვეტი განათლების მრავალფეროვანი ცენტრი, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, ადაპტაციას თანამედროვე გლობალიზირებულ სისტემაში. დაწესებულების მისია ითვალისწინებს პროფესიული განათლების მიზნებს და განსაზღვრავს აკადემიის როლს, რეგიონის მოთხოვნების შესაბამისად.

**ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია.**

**2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

აკადემიის მისიის განაცხადი დაწესებულების საქმიანობის ძირითად მიზნად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და საერთაშორისო დონეზე არსებული გამოწვევების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

გათვალისწინებით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებად, მსურველებისთვის ტურიზმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

**ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია.**

**3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

**"მსოფლიო განათლების აკადემიის" ხედვაა** რეგიონისა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი, სამართლიანი, ინკლუზიური, უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური დარგის სპეციალისტების მომზადებას, ინტელექტუალური და სოციალური უნარების, კულტურული ცნობიერების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტურიზმის სფეროს განვითარებას, რაც განსაკუთრებით დაეხმარება რეგიონის განვითარებას, ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას, თვითრეალიზაციასა და თვითდასაქმებას.

**დაწესებულების ღირებულებებია:**

- საგანმანათლებლო საზოგადოება – გუნდურობა – გუნდის თითოეული წევრი ორიენტირებულია საერთო მიზნების მიღწევაზე და ჩართული არის ეფექტური სასწავლო პროცესის ხელშეწყობასა და გაძლიერებაში, დაწესებულების ღიაობისა და გამჭვირვალეობის მაღალი სტანდარტით.
- მუდმივ განვითარებაზე ორიენტირება – აკადემიის წევრთა განვითარება, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების განსაზღვრა, ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა.
- სამართლიანობა და თანასწორობა – აკადემიის საზოგადოება გამოირჩევა მიმღებლობით და პატივს სცემს თითოეული წევრის უფლებებს, კონფიდენციალურობას, საკუთრებას, გამოხატვის თავისუფლებას. აკადემიის თითოეულ წევრი (სტუდენტები/დასაქმებული პერსონალი) თავს გრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წევრად განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, ენის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა ნიშნისა.
- ხარისხზე ორიენტირებულობა – სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის სერვისების და პროგრამების შეთავაზება, სწავლისათვის თანაბარ გარემოში ხელმისაწვდომობით.

**ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ორგანიზაციის მისიის პროექტი, განისაზღვრა, აკადემიის დაფუძნებამდე რამდენიმე თვით ადრე, რეგიონის მოსახლეობასთან, მოსწავლეებთან და დაინტერესებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძველზე. 2023 წლის ოქტომბერში, აკადემიის დამფუძნებლების, მოწვეული სპეციალისტების და დარგის ექსპერტების მონაწილეობით გაიმართა მასშტაბური ღონისძიება (კონცერტის თანხლებით), სადაც აკადემიის დაფუძნების ხედვა გაეცნო საზოგადოებას. ღონიძიება ორ ეტაპად განხორციელდა ვანსა და ბაღდათში. ორივე ღონისძიებას დაესწრო 1000-ზე მეტი მოსწავლე, ათეულობით მოწვეული სტუმარი, მათ შორის, მშობლები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ღონისძიების ფარგლებში გამოიკითხა მოსწავლეები და ზრდასრულები, აკადემიის მისიის, განსახორციელებელი პროგრამების და სახელწოდების განსასაზღვრად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისიის პროექტი განთავსდა აკადემიის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში, მოგვიანებით განხილულ იქნა აკადემიაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან და განმახორციელებლებთან, პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან. აღნიშნული შემდგომ დამტკიცდა სტრატეგიულ გეგმასთან ერთად.

**ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საჯაროდ, აკადემიის ვებგვერდზე: www.weaedu.ge ;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესისა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტები;
- მასშტაბური ღონისძიების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა: https://www.facebook.com/61555825495654/videos/1127537585336844
- გასაუბრება აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი გეგმების შექმნის, განხორციელების და მონიტორინგის წესი და პირობები, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა შვიდწლიანი სტრატეგიული და მიმდინარე სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები დამტკიცდა მას შემდეგ, რაც განიხილა აკადემიის პერსონალმა, პარტნიორებმა და დამსაქმებლებმა. ასევე, გათვალისწინებულ იქნა აკადემიის არსებული მდგომარეობის შეფასება და დოკუმენტებში აისახა არსებულის განვითარების და ახლის შექმნის მიზნები, აქტივობები და რისკები. სტრატეგიული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმები, შეესაბამება კანონდებლობას და შიდა მარეგულირებელ აქტებს, მკაფიოდ ასახავს არსებულ მდგომარეობას, ადგენს გაუმჯობესების აქტივობებს და ითვალისწინებს რისკებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია.**

**2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

დაწესებულების ადმინისტაციის და პროგრამების განმახორციელებლების წარმომადგენლების ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება განხორციელდა აკადემიის ადმინისტრაციის, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების, ახალგაზრდების, მოსწავლეების, დამსაქმებლების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, პარტნიორების ჩართულობით, მათი მოლოდინების და ხედვის გათვალიწინებით.

**ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია.**

**3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

სტრატეგიული გეგმა და წლიური სამოქედო გეგმა ასახავს მიზნებს, მიზნის მიღწევის აქტივობებს, ინდიკატორებს, ვადებს, მტკიცებულებებს, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, განხორცილებაზე პასუხისმგებელ ერთეულებს. ადგენს თითეული აქტივობის მიღწევის რისკებს, შიდა და გარე ფაქტორებს. დოკუმენტების შესრულების დინამიკა მოწმდება სისტემატურად, თითეული სტრუქტურული ერთეულის/პირის მიერ დაგეგმილი სამუშაოს კვარტალური ანგარიშის ანალიზის გზით, რომელიც ასევე, განსაზღვრავს მიზნის და შესაბამისი აქტივობის შესრულების მაჩვენებელს. სტრატეგიული მიზნის მიღწევა და რისკები ფასდება, ყოველი წლის ყოველ კვარტალში. შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება შესაბამისი აქტივობების დამატება ან შეცვლა სტრატეგიულ გეგმებში. სტრატეგიული მიზანი ასევე შეიძლება შეიცვალოს ან/და დაჩქარდეს სახელმწიფო რეგულაციების ცვლილების ან/და შრომის ბაზრის მოთხოვნების ან რეგიონის საჭიროებების შესაბამისად.

**ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის №004 ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

- აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი) დამტკიცებულია 2024 წლის 23 აპრილის №009 ბრძანება;
- ადმინისტრაციის და პროგრამების განმახორციელებლების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

შპს "მსოფლიო განათლების აკადემიის" დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის №4 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც განხორციელდება სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ. შეფასება მოხდება სისტემატურად, ყოველ კვარტალში და გაითვალისწინებს, მათ შორის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

დაინტერესებული მხარეების დასაბუთებულ ინტერესებს (თემი, რეგიონის მოთხოვნები, პარტნიორების ხედვა, მოსწავლეების ინტერესები ცვალებად გარემოში და ა.შ.).

**ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია.**

**2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

აკადემია და აკადემიის მმართველი რგოლი, ასევე, პასუხისმგებელი პირები, შესრულებული საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, ახდენენ შედეგებზე რეაგირებას. ეს პროცედურა დადგენილია „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის №004 ბრძანებით. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში, სადაც მონიშნული და აღწერილი იყო უკვე შესრულებული, შესრულების პროცესში მყოფი და სამოქმედო გეგმის დარჩენილ პერიოდში დასასრულებელი აქტივობებისამოქმედო გეგმის მიზნებით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად.

**ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია**

**3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დაწესებულებისთვის სამოქმედო გეგმის შესრულების ერთი ციკლი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა შპს “მსოფლიო განათლების აკადემიის” დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის №4 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია” ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების საჯარო ხელმისაწვდომობას, კერძოდ საჯაროობისთვის შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე www.weaedu.ge და აკადემიის სოციალურ ქსელებში, დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 6 ნოემბრის №004 ბრძანება;
- აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

აკადემიის პროფესიული სტუდენტების კანონიერი ინტერესები დაცული და გარანტირებულია შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 14 დეკემბრის №046 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით, ასევე შპს აკადემიის დირექტორის 2023 წლის 12 დეკემბრის №027 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესი“ - თ და აკადემიის სხვა შიდა რეგულაციებით. პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების და უფლებების დაცვა ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საფუძველზე, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე, სხვა პირებთან ურთიერთობისას. აკადემიის ხარისხის კულტურის დამკვიდრება და პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული საქმიანობა უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებების ჯეროვან დაცვას.

**ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია.**

**2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“-ით და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილია სტუდენტების ინფორმირების მექანიზმები, ასევე, დადგენილია საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ფუნდამენტური პრინციპები, რომლის გამოყენებითაც სტუდენტები არამარტო გაეცნობიან თავის უფლებებს, არამედ აკადემიაში დამკვიდრებული ღირებულებები და დადგენილი სერვისები უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების დაცვას და მათზე რეაგირების პრაქტიკის დანერგვას. მრავალმხრივი მექანიზმების გამოყენებით სტუდენტებს მკაფიოდ ეცოდინებათ თავიანთი კანონიერი ინტერესების და უფლებების შესახებ. ამისთვის, ასევე გამოყენებული იქნება ახალგაზრდებისთვის მისაღები სოციალური ქსელები.

**ინდიკატორი 3.1.1.2. შესაბამისობაშია.**

**3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“ -თ რეგულირდება აკადემიაში გამოყენებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, შეფასების გასაჩივრების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

(აპელაციის) მექანიზმებს, შეფასების განმეორებით მიღების შესაძლებლობებს, შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე სტუდენტის შეფასებას. აღნიშნული წესით მკაფიოდ და ნათლად არის აღწერილი სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე მექანიზმები. შეფასების ინსტრუმენტების შაბლონები. ამავე დროს სხვადასხვა პასუხიმგებელი პირის ვალდებულებაშია სტუდენტების ინფორმირება ყველა მათთვის საჭირო და აუცილებელ უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 3.1.1.3. შესაბამისობაშია.**

**4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.**

დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მოიცავს მოქმედი კანონდებლობითა და აკადემიის შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების კუთხით, მათ შორის, გათვალისწინებულია სტუდენტთა (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის) პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხები, არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა და სხვა. ხელშეკრულების შედგენის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები.

**ინდიკატორი 3.1.1.4. შესაბამისობაშია.**

**5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მათი ჩართულობით საჭიროების შემთხვევაში, მათი უფლებების გამოხატვის შესაბამისად, პერსონალურად ადგენს ინდივიადუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც შემუშავდება შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს მიერ, სტუდენტის, საჭიროების შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით.

**ინდიკატორი 3.1.1.5. შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 12 დეკემბრის №027 ბრძანება;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №033 ბრძანება;
- შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №035 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება“;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტის ფორმის დამტკიცების შესახებ” აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №040 ბრძანება;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის დასკვნის ფორმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №041 ბრძანება;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №042 ბრძანება;
- „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №043 ბრძანება;
- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში სწავლის მიზნით, განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 14 დეკემბრის №045 ბრძანება;
- „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №032 ბრძანება;
- აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

აკადემიის მარეგულირებელი არა ერთი აქტით რეგულირდება სტუდენტის მხარდაჭერის და კონსულტირების სერვისები. ასევე, დამტკიცებულია სტუდენტის მიერ აკადემიის შეფასების ფორმები. ყველა შესაბამისი თანამშრომლის ფუნქციებში დევს სტუდენტების კონსულტირების ვალდებულება.

**ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია.**

**2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

აკადემიაში სწავლის მსურველი პირის კონსულტირება, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების, პროფორიენტაციის, უფლებების და სერვისების, სასწავლო პროცესის და პრაქტიკის შესახებ ინფორმირება ხორციელდება პირველ ეტაპზე. ჩარიცხვის შემდეგ აკადემია, მასწავლებლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები მუდმივად ზრუნავენ სტუდენტების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

რეაგირებენ მათ საჭიროებებზე და სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობით ხელს უწყობენ მოტივაციის ამაღლების და ადაპტაციის პროცესს. ეს საკითხები რეგულირდება შიდა აქტებით და მკაფიოდ არის აღწერილი ადმინისტრაციის თანამშრომლების ფუნქციებში.

**ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია.**

**3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და პასუხისმგებლობით განხორციელებული საქმიანობა არის აკადემიის პრიორიტეტი. მარეგულირებელი აქტებით უზრუნველყოფილია სტუდენტის ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისები.

**ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამისობაშია.**

**4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №016 ბრძანებით დამტკიცებულია „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები", აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს დაწესებულების მხრიდან არაფორმალური კურიკულუმს მიღმა აქტივობების წახალისების ფორმებს და სახეებს და ასევე პროფესიული სტუდენტების მხრიდან გამოჩენილი ინიციატივების მხარდასაჭერად შემუშავებულ ღონისძიებებს. დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიით უზრუნველყოფილია სტუდენტების არაფორმალური, ფორმალური და გასართობი, მამოტივირებელი ღონისძიებები. ამის მტკიცებულებად გამოდგება ახალგაზრდებისთვის, მოსწავლეებისთვის მათზე მორგებული გასართობი ღონისძიების ორგანიზება, აკადემიის მისიის და სახელწოდების შეთანხმება ფართო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით პოტენციურ სტუდენტებთან.

**ინდიკატორი 3.2.1.4. შესაბამისობაშია.**

**5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.**

აკადემიაში არსებობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა პროცესის შეფასების ფორმები, ინიციატივები და მოსაზრებების გამოხატვის გამჭვირვალე სისტემა. სტუდენტების ინტერესების შეფასება და რეაგირება არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა. სტუდენტების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

საჭიროების დადგენა და რეაგირება აღწერილია სტრუქტურილი ერთეულების/პირების, მენეჯერების, კოორდინატორების და სპეციალისტების. პროგრამის ხელმძღვანელების და პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში.
**ინდიკატორი 3.2.1.5. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №015 ბრძანება;
- „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №016 ბრძანება;
- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №014 ბრძანება;
- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობის/კონსულტირების/მეცადინეობის აღდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №039 ბრძანება;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2024 წლის 27 მაისის №013 ბრძანება დანართი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
---
---

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №015 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მართვის წესი", რომლითაც რეგულირდება სტუდენტების მომსახურების და კარიერის დაგეგმვის სერვისები. დაწესებულებაში შექმნილია კარიერული და პროფორიანტაციის მენეჯერის საშტატო პოზიცია, მის ფუნქციებში აღწერილია სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების მხარდაჭერა. დოკუმენტი მოიცავს: პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნებს; პროფორიენტაციის ღონისძიებების სახეებს; პროფორიენტაციის ღონისძიებების ადმინისტრირებას; პროფორიენტაციის ღონისძიებების თაობაზე ანგარიშგებას და სხვა.

**ინდიკატორი 3.2.2.1. შესაბამისობაშია.**

**2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ აკადემიაში მოქმედებს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ხელშეწყობის მექანიზმები, როგორიცა: დასაქმების ხელშეწყობა, პოტენციურ დამსაქმებელებთან შეხვედრების ორგანიზება, თითოეული სტუდენტის წარმატების შედეგების მიწოდება დამსაქმებლისთვის. აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

განხორციელებაში ჩართულია დამსაქმებელი, რომელიც რეალურ სამუშაო გარემოში წარმატებული საქმიანობისთვის ამზადებს სტუდენტებს, ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

**ინდიკატორი 3.2.2.2. შესაბამისობაშია.**

**3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;**

შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისი კვლევის ფორმები, რომელიც მრავალმხრივი გამოკითხვის პრინციპით განსაზღვრავს სტუდენტების საჭიროებებს, ადგენს მხარდაჭერის მექანიზმებს, რომელიც ხორციელდება აკადემიის სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

**ინდიკატორი 3.2.2.3. შესაბამისობაშია.**

**4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები სავალდებულოდ მოიცავს სისტემატურ კვლევას და შედეგების საფუძველზე პროცესების გაუმჯობესების ვალდებულებას

**ინდიკატორი 3.2.2.4. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №015 ბრძანება;
- „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №016 ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის №014 ბრძანება;
- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობის/კონსულტირების/მეცადინეობის აღდგენის ფორმის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის №039 ბრძანება;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ" აკადემიის დირექტორის 2024 წლის 27 მაისის №013 ბრძანება დანართით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის მიხედვით მართვის ორგანოები (სუბიექტები) არის: პარტნიორთა კრება, დირექტორი და მმართველი საბჭო. საშტატო ერთეულებია: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი), ადამიანური რესურსების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, იურისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი, კანცელარიის სპეციალისტი, ბიბლიოთეკის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, ექიმი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, დაცვის სპეციალისტი, დამლაგებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სტრუქტურული/საშტატო ერთეულების დაქვემდებარების სისტემას და მათ ურთიერთკავშირს ასახავს აკადემიის სტრუქტურის სქემა. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

**ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია.**

**2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციები. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს შეუწყობს.

**ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია.**

**3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

აკადემიას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელშიც გაწერილია ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება, განათლების ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმების/მეთოდების შემუშავება და მათი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

საჯაროობისა და გამოყენების სამართლიანობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესთან, კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევებთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შიდა დოკუმენტების, ინსტრუქციების, წესების, სამუშაო ფორმების, დადგენილებების და სხვა შემუშავების პროცესში მონაწილეობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის/თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადების პროცესის ხელმძღვანელობა, აკადემიის შიდა მარეგულირებელი დებულებების, წესების რევიზია და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაცია და სხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე (PDCA) ციკლის პრინციპით. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასაწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან. აღნიშნული დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

**ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- აკადემიის შინაგანაწესი;
- აკადემიის სტრუქტურა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

აკადემიაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობით, დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესით. პერსონალის მართვის პოლიტიკა სრულად იზიარებს კოლეჯის მისია/ხედვა/სტრატეგიულ გეგმაში გაცხადებულ მიზნებს. აკადემიის პერსონალი შედგება: ადმინისტრაციული პერსონალისაგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან და დამხმარე პერსონალისაგან. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცესები: პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, ადაპტაცია, საქმიანობის მართვა, შეფასება, მოტივაცია, პროფესიული განვითარება, ინფორმაციის მართვა და პერსონალთან ურთიერთობის შეწყვეტა.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და აკადემიის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას. განხორციელდა გასაუბრება აკადემიის წარმომადგენლებთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**2.პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პერსონალის მართვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის შერჩევას. პერსონალის მოზიდვისა და მისი შენარჩუნების თვალსაზრისით აკადემია მიმართავს შიდა და გარე წყაროებს. პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა - აკადემიაში დასაქმებული პერსონალი. პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა - აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში ან/და დასაქმების პორტალებზე განთავსებული/გამოქვეყნებული განცხადებები. აკადემიაში თანამდებობის დაკავება შესაძლებელია როგორც კონკურსის გარეშე, ასევე კონკურსის წესით. თანამშრომლების შერჩევა და სამსახურში მიღება ხდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით, მათი კომპეტენციის სპეციფიკის გათვალისწინებით. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა: სამართლიანობა, თანაბარი შესაძლებლობები, გამჭვირვალობა, პროფესიული განვითარება, თანამშრომლობა, თვითგამოხატვის თავისუფლება, ღიაობა, გუნდურობა, პროფესიონალიზმი.

**ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია.**

**3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლითაც განისაზღვრება თანამდებობაზე დანიშნული პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები, მოვალეობები, უფლებები და პასუხისმგებლობა. ინსტრუქცია გამოიყენება პერსონალის მართვის პროცედურებში და წარმოადგენს აკადემიის ადამიანური რესურსების დაგეგმვის, ახალი თანამშრომლების შერჩევა-დაქირავების, შეფასების საფუძველს. თანამდებობრივ ინსტრუქციაში გაწერილია თითოეული პოზიციისათვის შესაბამისი მოთხოვნები: ზოგადი ინფორმაცია, ორგანიზაციული იერარქია, ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სავალდებულო, სასურველი), სამუშაოს შესასრულებლად საჭირო პროგრამების ცოდნა (სავალდებულო, სასურველი), სამუსაოს შესასრულებლად საჭირო ენების ცოდნა (სავალდებულო, სასურველი), სამუშაო გამოცდილება (სავალდებულო, სასურველი), ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციები (პიროვნული უნარები, პროფესიული ცოდნა) და ბოლოს დამსაქმებლისა და დასაქმებულის ხელმოწერები.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები. პერსონალის პირადი საქმეები შეესაბამება აკადემიის მიერ განსაზღვრულ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია.**

**4.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანებია: პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და მიღება, ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება, შეფასება და სამუშაო კმაყოფილების მონიტორინგი, პერსონალის გადამზადება, განვითარება და ტრენინგები, შრომითი ურთიერთობების რეგულირება, შრომის ანაზღაურება და სტიმულირება, დისციპლინური გადაცდომისას პასუხისმგებლობების ადექვატურობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა, კონფიდენციალობის დაცვა და კორპორაციული ეთიკა. აკადემიის კორპორაციული ეთიკა გულისხმობს აკადემიის საქმიანობის წარმართვის პრინციპებს, ფასეულობებს, ქცევის სტანდარტებს, შრომით პირობებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს. პერსონალი პატივს უნდა სცემდეს აკადემიასა და მის ტრადიციებს. აკადემიის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურეობრივი სუბორდინაციის პრინციპი.

ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებულია გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ისე სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

**ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის მართვის მექანიზმები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- შრომის შინაგანაწესი;
- აკადემიის ვებ-გვერდი;
- პერსონალთან გაზიარებული მარეგულირებელი დოკუმენტების გაზიარების და უკუკავშირის მტკიცებულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1,პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.**

აკადემიის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, რომელიც წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელ ნაწილს და აკადემიაში დასაქმებულ ყველა პირს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. აკადემიის პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნებია: პერსონალის საჭიროებების, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი განვითარების გზების დასახვა; პერსონალის შესაძლებლობების გამოვლენა და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა; პერსონალის საქმიანობის შეფასება სწავლებისა ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

პროცესში არსებული სირთულეების იდენტიფიცირება და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა; აკადემიის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, პერსონალის საჭიროების გამოვლენა. აკადემია ახდენს თანამშრომელთა საქმიანობის, მიღწევების, კომპეტენციებისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას წინასწარ შემუშავებული შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. პერსონალის შეფასების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მენეჯერი. პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტებს - კითხვარებს/შეფასების ფორმებს და სხვა შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მენეჯერი და ათანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერთან.

**ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია.**

**2.პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით..**
აკადემიის პერსონალის მართვის მექანიზმები ითვალისწინებს პერსონალის განვითარების გეგმას. აკადემიაში პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის არსებობა მნიშვნელოვან მართვის ინსტრუმენტს წარმოადგენს. პერსონალის განვითარების საჭიროებები შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს პოზიციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. პერსონალის განვითარების ტაქტიკა აკადემიის მიმართულების დამახასიათებელი სპეციფიკური ცოდნის ასამაღლებლად არის გამიზნული და ორგანიზაციის საჭიროებების მიხედვით განისაზღვრება. ცოდნის ამაღლება შესაძლოა განხორციელდეს ფორმალური ტრენინგის, თვითშემეცნების, პროფესიონალური და სამუშაო შეხვედრების, მენტორინგის და სხვა აქტივობების მეშვეობით. პერსონალის განვითარების დაგეგმვის პროცესი მოიცავს თანამშრომლის შესაძლებლობების, განსწავლულობის, დაუყოვნებელი საჭიროებების და პოტენციური რესურსების შეფასებას. პერსონალის პროფესიული განვითარება არის პერსონალის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება/გაუმჯობესებას და გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა პროგრამების შერჩევა/დაგეგმვა. პერსონალის კარიერის და განვითარების პროცესი მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნის, პოტენციალისა და გამოცდილების მქონე პერსონალის პროფესიული განვითარების, შემდგომი კარიერული ზრდისა და შენარჩუნების ხელშეწყობას; გ) შედეგების შეფასება – გარკვეული სახის პროგრამების განხორციელების შემდეგ, შესაძლებელია გადამზადებული თანამშრომლების გამოკითხვა, რაც შესაძლებელია განხორციელდეს კითხვარების გამოყენებით ან ფოკუს ჯგუფებთან ან ინდივიდუალური ინტერვიუირებით. აღნიშნული აქტივობა ემსახურება სხვადასხვა მხარის შემოწმებას: კმაყოფილება, კომპეტენციის გაზრდა და ა.შ.. შეფასების პროცესში ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაკვირვების მეთოდი: როგორ გამოიყენებენ ადამიანები ახალ ცოდნასა და უნარებს სამუშაოს შესრულების დროს. ყოველი ახალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

საჭიროების გამოვლენისას საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ადგენს განვითარების გეგმის პროექტს. მოცემული გეგმა შესაძლოა დამტკიცდეს ცალკე - აკადემიის დირექტორის ბრძანებით, ან აქტივობების სახით შევიდეს აკადემიის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

**ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

აკადემიაში შემუშავებულია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მოტივაციის ხელშეწყობა. აკადემია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და აკადემიის საქმიანობაში ჩართული სხვა პირების პროფესიული განვითარებისათვის ახორციელებს შემდეგ მექანიზმებს: ა) ორგანიზებას უწევს პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს; ბ) ხელს უწყობს პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აკადემიასთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, პანელურ დისკუსიებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში; გ) გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე/კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით; დ) სხვა აქტივობებს. პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილება პირდაპირ კავშირშია მოტივაციასთან. პერსონალის ძირითადი მოტივაციური ფაქტორებია: პერსპექტივის არსებობა; შრომის ანაზღაურების და სტიმულირების სისტემის სამართლიანობა; შესრულებულ სამუშაოს მნიშვნელობის რწმენა; სამუშაო ჯგუფის წევრთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; დადებითი ემოციური გარემო.

**ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია.**

**4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

აკადემიაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს ახლადაყვანილი თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, აკადემიის მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების, მოქმედი წესების/რეგულაციებისა და პროცედურების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და აკადემიის საზოგადოებაში ადაპტაციას. აკადემიაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია და ინტეგრაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია აკადემიის ადამიანური რესურსების მენეჯერი. აკადემიაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცესი წარმოებს აკადემიის „ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციაში ინტეგრაციის წესის“ შესაბამისად. ადაპტაციის ხელშეწყობის პირობები მოიცავს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

პერსონალის ადაპტაციის პროცესს, მის ხანგრძლივობას და სახეებს, გამოსაცდელ ვადას, ადაპტაციის პროცესში მონაწილე პირებს და ადაპტაციის პროცესის ადმინისტრირებას.

**ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია.**

**5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**
აკადემიის შინაგანაწესით საგანმანათლებლო, სამეურნეო, სხვ. საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, განსაკუთრებული მიღწევებისათვის, ასევე, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის წახალისების მიზნით პირის წახალისების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატერიალური და არამატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები, მაგალითად: მადლობის გამოცხადება; დისციპლინარული სახდელის (გაფრთხილება, საყვედური) მოხსნა, დაკისრებული ჯარიმის მოხსნა და/ან სხვ.; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; პრემირება; კონფერენციებზე, სემინარებზე, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე და ა.შ. გაგზავნა-დაფინანსება, შრომის ანაზღაურების გაზრდა და/ან სამსახურებრივი დაწინაურება. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. გადაწყვეტილებას წახალისების ფორმისა და ოდენობის შესახებ იღებს დირექტორი საკუთარი გადაწყვეტილებით ან უფლებამოსილი პირის წარდგინებით. გადაწყვეტილება მიიღება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით და ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

**ინდიკატორი 4.2.1.5. შსაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- აკადემიის შინაგანაწესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის მართვის მექანიზმები;
- კმაყოფილების კვლევის კითხვარების ფორმები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

- ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციისა და ორგანიზაციაში ინტეგრაციის წესი;
- აკადემიის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
_____
_____

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.**

აკადემიას აღნაგობის უფლებით (აღნაგობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N 240271057, დამოწმების თარიღი 05/03/2024), 51 წლის ვადით გადაცემული აქვს ფართი ქ. ბაღდათში რუსთაველის ქ. N 24 - ში 2 სართულიანი შენობა საერთო ფართით 633 კვ. მ; აქედან სასწავლო ფართია -384.09 კვ.მ. შენობაში უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრო ენერგიის მიწოდება, ცენტრალური გათბობა, ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის (პანდუსები და სველი წერტილი). აკადემიამ წარმოადგინა სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები). დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, სამკითხველო და ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის კაბინეტი, ფოიე, დაცვის ოთახი, მასწავლებლების ოთახი, კაფე, რეკრეაცია, გარე რეკრეაციული ზონა, სივრცე არქივისთვის, სასაწყობე ფართი, სველი წერტილები (3 ქალების, 3 მამაკაცების, 2 შშმ პირებისათვის ცალ-ცალკე ქალების და მამაკაცებისთვის.

აკადემიის მფლობელობაშია მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ასლგადამღები აპარატი, სკანერი, სამეთვალყურეო კამერები, საპროექციო ეკრანები, კონდიციონერები.

**ინდიკატორი 5.1.1.1 შესაბამისობაშია.**

**2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი, რომელთა შესაბამისად, არსებული შიდა და გარე სივრცეები მოწყობილია ინვენტარით და სრულად და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის. ექსპერტები გავესაუბრეთ დაწესებულების მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰყავდა სტუდენტები, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.

**ინდიკატორი 5.1.1.2 შესაბამისობაშია.**

**3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

აკადემიის შენობის ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობის სივრცეების დასუფთავებას ტექნიკურად უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომლის სამუშაო დარეგულირებულია თანამდებობრივი ინსტრუქციით და ხელშეკრულებით. ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.3 შესაბამისობაშია.**

**4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.**

აკადემიის სასწავლო ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე კომუნალური გადასახადების ქვითრებით. შესაბამისად, ყველა სასწავლო აუდიტორია და ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია გათბობით.

**ინდიკატორი 5.1.1.4 შესაბამისობაშია.**

**5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა. აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქციებია: სამუშაო სივრცეში მყოფ პირთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხის შემცველი ფაქტორებისგან პროფესიულ სტუდენტთა/ვიზიტორთა/დასაქმებულთა და სამუშაო/სასწავლო/მოსასვენებელ/სხვ სივრცეში მყოფ სხვა პირთა დაცვა, შრომის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

უსაფრთხოების მიზნით, აკადემიის რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, შრომის უსაფრთხოების მიზნით, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების გეგმის შემუშავება, აკადემიის პერსონალის/პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟი და ტრენინგების ჩატარება სახანძრო უსაფრთხოების, საკანონმდებლო მოთხოვნების, პირველადი გადაუდებელი დახმარების (შესაბამისი კომპეტენციის პირის მოწვევით) და სხვა მოდულების ფარგლებში, შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავება და სხვა. აკადემიას აქვს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, შენობის მდგრადობის დასკვნა, შრომის უსაფრთხოების დამოწმებული გეგმა და საევაკუაციო გეგმა. შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. შენობას იცავს დაცვის კერძო კომპანია. აკადემიის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია შპს „დეტექტორის“ უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური მენეჯერი, რომელიც აკადემიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან თანამშრომლობით განახორციელებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის რეგულაციების შესატყვის აქტივობებს, მათ შორის, აკადემიაში დასაქმებული პირებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის და ჩაატარებს ტრენინგების, შეიმუშავებს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციებს და პერიოდულად მიიღებს მონაწილეობას ჩასატარებელ იმიტაციებში. დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. შენობის საევაკუაციო გასასვლელში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. დოკუმენტაციის გაცნობით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით
**ინდიკატორი 5.1.1.5 შესაბამისობაშია.**

**6.დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**
აკადემიას შემუშავებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი, რომელიც ითვალისწინებს: აკადემიის საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესებს, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესს, სასწავლო პროცესის ფარგლებში დასაცავი სპეციალური უსაფრთხოების ნორმებს, ინვენტარიზაციას, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და გაუმჯობესებას და შეფასების პერიოდულობას. აკადემიის საქმიანობის ადმინისტრირებისათვის/საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შემენას უზრუნველყოფს აკადემიის მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი აკადემიის ფინანსური მენეჯერთან (ბუღალტერი) ერთად, აკადემიის დირექტორთან შეთანხმებით. საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის ნუსხას ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შესყიდვის მიზნით წარუდგენს აკადემიის დირექტორს მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით შესაძლებელია მასალა-ნედლეული შესყიდულ იქნას სასწავლო პროცესის დაწყებამდე წელიწადში ერთხელ ან ეტაპობრივად მოხდეს მარაგის შევსება, რა დროსაც დაცული უნდა იქნეს მასალა-ნედლეულის შენახვის ვადები და პირობები. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება აკადემიის ტერიტორიაზე საამისოდ გამოყოფილ ადგილას. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი უშუალოდ მოდულის დაწყებამდე და ახდენს გაცემული მასალა- ნედლეულის/ინვენტარის შესაბამის ჟურნალში აღრიცხვას, რაც დასტურდება მიმღების (მოდულის განმახორციელებელი პირის) ხელმოწერით. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება, რაც ასევე აღირიცხება შესაბამის ჟურნალში სამეურნეო სამსახურის მიერ. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კონკრეტული მასალა-ნედლეულის შენახვის წესების დაცვით. დოკუმენტის გაცნობის და შესაბამ ის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა **ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისობაშია.**

**7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მატერილური რესურსების შიდა სტანდარტების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს. საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესებს და წესების შემუშავებას და დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას.

**ინდიკატორი 5.1.1.7 შესაბამისობაშია.**

**8.პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

აკადემიაში არის ექვსი სველი წერტილი: ადმინისტრაციისთვის, ქალებისთვის, კაცებისთვის და ორი ადაპტირებული შშმ სტუდენტებისთვის, რომლებიც გამიჯნულია, მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით: ქაღალდის პირსახოცის დისპანსერით, თხევადი საპნით და ნარჩენებისათვის უკონტაქტო კალათით. სველი წერტილები ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.8 შესაბამისობაშია.**

**9.ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**

აკადემიის ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკას აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი 5.1.1.9 შესაბამისობაშია.**

**10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

ვიზუალური დათვალიერებით აკადემიის სათავსოები და სივრცეები ისეა განლაგებული, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას ხელი არ ეშლება.

**ინდიკატორი 5.1.1.10 შესაბამისობაშია.**

**11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

აკადემიის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის დაწყების და დასრულების გრაფიკი. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული OpenBiblio -სთან.

**ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აღნაგობის ხელშეკრულება;
- არქიტექტორული გეგმები სარეგისტრაციო ფართებით;
- ჯანმრთელობისა  და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- აკადემიის ვებ-გვერდი -  www.weaedu.ge ;
- ხელშეკრულება  OpenBiblio -სთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის წესი;
- აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**
აკადემიამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნა ქ. ბაღდათში რუსთაველის ქ. N 24-ში მდებარე შპს „მსოფლიო განათლების აკადემიის“ აღნაგობის უფლებით დატვირთული შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. აკადემიის მიერ წარმოდგენილი საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N 452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე აკადემიამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. შენობას აქვს საევაკუაციო გზა-კიბე, უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით „EXIT”. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია „112“-ის აბრები. ასევე მოწყობილია ავარიული განათება. გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. ფართი უზრუნველყოფილია საგანგაშო ხმის გამომცემი და ვიზუალური სისტემით. შენობა აღჭურვილია კვამლის ავტომატური აღმომჩენი დეტექტორებით. აკადემიის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია შპს „დეტექტორის“ უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური მენეჯერი. დასკვნების შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე **ინდიკატორი 5.2.1. შესაბამისობაშია.**

**2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.**

აკადემიას შემუშავებული აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს: ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის დროს გასატარებელ ღონისძიებებს, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, შშმ და სსსმ პირების მომსახურების წესს, აკადემიის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ღონისძიებების მართვის პროცედურებს, ექიმამდელი დახმარების წესს და აკადემიის სამკურნალო საშუალებებისა და ინვენტარის მართვის პროცედურას. ყველა ამ პროცედურას კოორდინაციას უწევს აკადემიის ექიმი. აკადემიაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო სამედიცინო საშუალებებით. გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის გამოძახებისა და მშობლების ინფორმირების უზრუნველყოფა აკადემიის დირექციის მოვალეობაა. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე აკადემიის ექიმი უზრუნველყოფს ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას. კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული და ხელმისაწვდომია პირველი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი. აკადემიის ექიმთან გასაუბრებით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება **ინდიკატორი 5.2.2. შესაბამისობაშია.**

**3.დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.**

აკადემიას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. გეგმა წარმოადგენს აკადემიის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას და განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. გეგმის მიზანია: ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა; აკადემიის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირების, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება; საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, აკადემიის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა; მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე აკადემიის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა; შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა. გეგმის შესაბამისად შექმნილი არის საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

უფროსი არის კერძო დაცვის კომპანია „დეტექტორის“ წარმომადგენელი, რომელიც საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტი გეგმის შესაბამისად, კოორდინაციას უწევს სახანძრო-სამაშველო ჯგუფებსა და საშუალებებს.
დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **ინდიკატორი 5.2.3. შესაბამისობაშია.**

**4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.**

აკადემიას დადებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება კერძო დაცვის კომპანია „დეტექტორთან“, რომელიც უზრუნველყოფს შენობის და პერსონალის უსაფრთხოებას კვირაში 7 დღე 24 საათის განმავლობაში. დაცვის კომპანია ახორციელებს სამეთვალყურეო კამერების მონიტორინგს და დაუყოვნებლივ რეაგირებს სიგნალის მიღებაზე.

**ინდიკატორი 5.2.4. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სახანძრო სიგნალიზაციის გეგმა;
- ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
- საევაკუაციო გეგმა;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და ექიმამდელი დახმარების წესები და პროცედურები;
- გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

აკადემია აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. აკადემიაში, როგორც ფიზიკურ ასევე უკაბელო ქსელში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კომპიუტერების და მოწყობილებების დამისამართება ხდება როუტერში. ისეთი მოწყობილობები, რომლებიც არ განეკუთნებიან აკადემიის აქტივებს და იყენებენ აკადემიის უკაბელო ქსელს (wifi), სარგებლობენ სპეციალური გამოყოფილი ქსელით, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ დაშვებული ვებგვერდების კატეგორიასთან, რომლებიც წინასწარ არის შერჩეული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**ინდიკატორი 5.2.1.1. შესაბამისობაშია.**

**2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას. აკადემიაში ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებებია: ა) აკადემიის კრიტიკული IT ინფრასტრუქტურის ტექნიკური დაცვა დაზიანებისაგან; ბ) უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველყოფა; გ) მაღალი ძაბვისგან დამცავი სისტემის დანერგვა; დ) სერვერის განყოფილებისათვის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის დანერგვა; ე) კონდიცირების გამართული სისტემის უზრუნველყოფა; ვ) აუცილებელი ინფორმაციის სტაბილურად შენახვის და დაცვის უზრუნველყოფა;ზ) კრიტიკულად საჭირო სტრუქტურებში (საფინანსო სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია) არსებული ინფორმაციის რეზერვაცია სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში; თ) ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ სწავლების/ტრენინგების ჩატარება. აკადემიას ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც ვალდებულია მუდმივად განახორციელოს აკადემიის ელექტრონული თუ ფიზიკური ქსელის, სერვისებისა და მოწყობილობების მონიტორინგი. ნებისმიერი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი. ქსელიდან განაცალკევოს ან იზოლირება მოახდინოს მოწყობილობების ან სერვისების, რომლებიც ხელს უშლის ან/და საფრთხეს უქმნის აკადემიის ქსელის, სერვისებისა და მოწყობილობების საიმედოობას, უსაფრთხოებას, მთლიანობას და ხელმისაწვდომობას. დოკუმენტის გაცნობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ

**ინდიკატორი 5.2.1.2. შესაბამისობაშია.**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს: პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას და მიზანს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავების პრინციპებს, მონაცემთა შეგროვებას და ჩაწერას, პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მონაცემთა უსაფრთხოებას და თანამშრომლების პასუხისმგებლობას, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და ვალდებულებებს, საკონტაქტო ინფორმაციას, ვიდეო/აუდიო მონიტორინგის განხორციელების წესებს, პირდაპირ კომუნიკაციას/მარკეტინგს. აკადემია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. ვიდეო/აუდიო მონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს აკადემიის დირექტორს. აუდიო/ვიდეო მონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს. მონაცემთა დამუშავებას აკადემია ახდენს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.

**ინდიკატორი 5.2.1.3. შესაბამისობაშია.**

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.**

აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს რისკების დასაშვებ დონეზე დაყვანისათვის რისკების მართვის ანალიზს, რეაგირების არქონის შემთხვევაში შესაძლო უარყოფით მოვლენებს და განსაზღვრავს IT პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებებს. აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი უზრუნველყოფს აკადემიის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ტრენინგს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების, ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ. აკადემიის თანამშრომლების ინფორმირებულობა ორგანიზაციის რისკების შესახებ, რისკების და პრობლემური საკითხების შემცირების კონტროლის მექანიზმის შესახებ ხელს უწყობს ინციდენტების და მოულოდნელი შემთხვევების ეფექტურ აღმოფხვრას. აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზის შეფასებას აკადემიის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს: ჩანაწერის ნომერს, აუდიტორიის/სივრცის ნომერს, შეფასების შედეგს, პრევენციულ ღონისძიებებს, შენიშვნებს და დადასტურებას ახდენს ხელმოწერით.

**ინდიკატორი 5.2.1.4. შესაბამისობაშია.**

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.**

აკადემიის შენობაში ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ხელმისაწვდომობის მიზნობრიობას. დაწესებულებამ წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება. ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულების გარემო, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ჩატვირთულია სასწავლო რესურსები.

**ინდიკატორი 5.2.1.5. შესაბამისობაშია.**

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

აკადემიას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის რეგულირების სფერო, მიზნები, სუბიექტები, ძირითადი მიმართულებები, სისტემის ხედვა და მიდგომები, სამუშაო ჯგუფი და იუმს -ის პოლიტიკის დამტკიცებისა და გადახედვის წესი. აკადემიას გააჩნია ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ინფორმაციის გაცვლას.

**ინდიკატორი 5.2.1.5. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- ხელშეკრულება დომენის შესყიდვის შესახებ;
- ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
- პერსონალთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**

აკადემიას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (ინსტრუქცია), რომელშიც გაწერილია: საქმისწარმოების საფუძვლები, საქმისწარმოების ზოგადი წესები, საქმიანობის დოკუმენტირება, დოკუმენტების გაფორმება, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზება, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა, დოკუმენტებისა და დავალებების შესრულების კონტროლი , დოკუმენტის შესრულების ვადები, აკადემიის საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და საქმეების გაფორმებააკადემიის დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა და საქმისწარმოებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა. საქმისწარმოების წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და აკადემიის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან. აკადემიაში საქმისწარმოებას ხელმძღვანელობს კანცელარია. საქმისწარმოების წესით დადგენილი რეგულაციები ვრცელდება აკადემიაში შექმნილ და შემოსულ ყველა ტიპის დოკუმენტაციაზე, მათ შორის - ელექტრონულზე.

**ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია.**

**2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.**

აკადემიაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური ფორმით და ელექტრონულად, კერძოდ, დანერგვის პროცესშია ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა - Eflow.

**ინდიკატორი 5.2.2.2 შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.**

აკადემიას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესი. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელია აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი - აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ნაწილში, და აკადემიის ადამიანური რესურსების მენეჯერი - პერსონალის ნაწილში.

აკადემია ავტორიზაციის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

**ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისობაშია.**

**4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

აკადემიის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებისთვის შესაბამისი ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება, შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში და მათთან უწყვეტი თანამშრომლობა. ასევე, აკადემია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია - ERS.GE-ზე, სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის ელექტრონულ ბაზებში.

**ინდიკატორი 5.2.2.4. შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- საქმისწარმოების წესი (ინსტრუქცია);
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

აკადემიის ოფიციალური ვებ-გვერდია - www.weaedu.ge სადაც განთავსებულია ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, მართვის ორგანოები, ორგანიზაციის სტრუქტურა, მარეგულირებელი აქტები, განვითარების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, ანგარიშები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, პარტნიორები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

პროფესიული განათლების მასწავლებლები, ჩარიცხვის პროცედურები, მობილობა, საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტური ცხოვრება, ბიბლიოთეკა, სერვისები (სტუდენტური სერვისები, უწყვეტი განათლება, პროფორიენტაცია, კარიერის მართვა), სიახლეები და საკონტაქტო ინფორმაცია. აკადემიის ვებ-გვერდი და ასევე სოციალური ქსელის გვერდი ასრულებენ როგორც საკომუნიკაციო, ისე საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებენ ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობას. რეგულარულად მიმდინარეობს ინფორმაციის განახლება.

**ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია.**

**2.დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**

დაწესებულება არ ახორციელებს საერთაშორისო/ უცხოენოვან პროგრამებს. შესაბამისად დაწესებულების ვებ-გვერდი ქართულენოვანია.

**ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის მე-7 მუხლი ითვალისწინებს აკადემიის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სანდოობასა და პასუხისმგებლობას, კერძოდ, დაუშვებელია აკადემიის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში ან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება. აკადემიის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია აკადემიის აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი დადასტურება. აკადემიის ვებგ-ვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე აკადემიაში პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. აკადემიის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აკადემიას.

**ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

აკადემიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც გაწერილია ინფორმაცია აკადემიის მისია/ხედვა/ღირებულებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ვებ-გვერდის, მისამართის, ელ.ფოსტის, მობილურის, საკონტაქტო მონაცემების შესახებ. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას.

**ინდიკატორი 5.2.3.4. შესაბამისობაშია.**

**5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი, რომლის მე-9 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, კერძოდ, პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯაროობის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და კატალოგის ელ. ვერსია განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის/დაფინანსების წყაროების, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების, სასწავლო პროცესის და მეცადინეობის განრიგის შესახებ, აკადემიის საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ამონაბეჭდის სახით ინახება აკადემიაში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ყოველწლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. აკადემიაში სწავლის მსურველს და პროფესიულ სტუდენტს კონსულტაციას უწევენ აკადემიის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და აკადემიის სხვა პერსონალი.

**ინდიკატორი 5.2.3.5. შესაბამისობაშია.**

**6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

აკადემიას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის მე-4 მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთობას, კერძოდ, აკადემია თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: ავრცელებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

აკადემიის სახელით ოფიციალურ მიმართვებსა და განცხადებებს, ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას, აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს, აწარმოებს შიდა საორგანიზაციო კომუნიკაციას, გეგმავს და ახორციელებს აკადემიაში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, მართავს აკადემიის ვებ-გვერდს და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში, აწყობს საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებს და სხვა ღონისძიებებს აკადემიის საჭიროების შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ამზადებს/ავრცელებს სარეკლამო მასალებს, ხელს უწყობს აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/თანამშრომლების/დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი, აკადემია სისტემატიურად ახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გამოვლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელმაც აგვიხსნა, რომ აპირებს ასევე სხვადასხვა კითხვარების საშუალებით ამ მიმართულებით კვლევების განხორციელებას.

**ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- აკადემიის ვებ-გვერდი www.weaedu.ge;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

აკადემიას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: შემოსავლების ნაწილს (მიმდინარე შემოსავალი, აკადემიის არსებული ბიუჯეტი, მოსალოდნელი სადამფუძნებლო შენატანი, დამფუძნებელთა შენატანი მატერიალური ფორმით), გაწეულ ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ ხარჯებს (სარემონტო მასალების ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ტექ.ინვენტარის შეძენის ხარჯი, საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯი, სახელფასო ხარჯი, საგადასახადო ხარჯი, მომსახურების ხარჯი, თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, აღნაგობის უფლების საზღაური, სხვა ხარჯები), საპროგნოზო შემოსავლებს ( სასტუმრო მომსახურების სწავლებიდან შემოსავალი, კულინარული ხელოვნების სწავლებიდან შემოსავალი, შემოსავალი სხვა მოკლევადიანი სასწავლო პროექტებიდან, მოსალოდნელი სადამფუძნებლო შენატანი მიმდინარე რემონტის დასასრულებლად), ხარჯების ძირითად ნაწილს/ საპროგნოზო ხარჯებს (პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარების და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი), პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი და პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეული და მასალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს შემოსავლის სახეს და ხარჯების ლარში დაანგარიშებას. აკადემიის ბიუჯეტის და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გეგმის პროექტებს შეიმუშავებს აკადემიის ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი). ბიუჯეტის პროექტს განიხილავს პარტნიორთა კრება და ამტკიცებს დირექტორი.

ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ფინანსურ მენეჯერს (ბუღალტერს) რომელმაც აგვიხსნა საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენის მექანიზმები.

**ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისობაშია.**

**2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.**

აკადემიის საპროგნოზო ბიუჯეტში გაწერილია გაწეული ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული ხარჯები, კერძოდ, სარემონტო მასალების ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ტექ.ინვენტარის შეძენის ხარჯი, საოფისე ინვენტარის შეძენის ხარჯი, სახელფასო ხარჯი, საგადასახადო ხარჯი, მომსახურების ხარჯი, თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, აღნაგობის უფლების საზღაური, სხვა ხარჯები, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით.

**ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია.**

**3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.**

აკადემიას შემუშავებული აქვს სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს: ფინანსების მართვის (ბიუჯეტირების) მიზანს, აკადემიის ძირითად ფინანსურ დოკუმენტს - ბიუჯეტს, ბიუჯეტის დამტკიცებას, ბიუჯეტის შესრულების პერიოდს, ბიუჯეტის მართვას და შესრულებაზე კონტროლს, უფლებამოსილებებს და პასუხისმგებლობებს, საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებას და ანალიზს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. აკადემიაში საბიუჯეტო კონტროლი ხორციელდება იმ მიზნობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრულია მთელი საბიუჯეტო პერიოდისთვის. ბიუჯეტის შესრულების კონტროლს უწევს ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი), რომელიც ახორციელებს შემოსავლების სრული და დროული შემოსვლის კონტროლს, ფაქტიური ხარჯების მიზნობრიობის, დაგეგმილი მაჩვენებლების და ფაქტიური შემოსავლების და ხარჯების შეუსაბამობის ოპერატიულ ანალიზს და ცვლილებების შეტანას. ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი) ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. აკადემიის დირექტორის წარდგინებით პარტნიორთა კრება ეცნობა ანგარიშს, განიხილავს და ამტკიცებს მას, რაც ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის არაუგვიანეს პირველი კვარტლისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია.**

**4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

აკადემიის მიერ შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურების მე-9 მუხლი ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, კერძოდ, აკადემიაში ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა წარმოებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფინანსური მენეჯერი (ბუღალტერი) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების პაკეტს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის დირექტორს. ფინანსური ანგარიშგება მტკიცდება აკადემია დირექტორის მიერ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 15 იანვრისა. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგება აიტვირთება ანგარიშგების პორტალზე კანონით განსაზღვრულ ვადებში.

**ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- აკადემიის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის დოკუმენტის ფორმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

☐ არ შეესაბამება

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | სასტუმრო, რესტორანი და კვება - 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის N 006 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24;<br>ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. N 16 – „სასტუმრო დინასტია“, საქართველო, საფოსტო ინდექსი 1000 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 100 პროფესიული სტუდენტი, ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24; ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. N 16, მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | ---- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ---- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ---- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 110 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

## სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი, რომლის თანახმად არის შემუშავებული პროგრამა. აღნიშნულ წესში გაწერილია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები, პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება, პროგრამის დამტკიცება და განხორციელების უფლების მოპოვება, განვითარება, ცვლილებების განხორციელება, პროგრამის გაუქმება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა ინფორმირებისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სწავლების ენა.

აკადემიის მისიაში გაცხადებულია შექმნას რეგიონისთვის და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და პიროვნულ განვითარებას და ადაპტაციას თანამედროვე გლობალიზირებულ სისტემაში. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მიზნებიც: ხარისხის კულტურის დანერგვა და განვითარება, ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება, ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება და ცნობადობის გაზრდა, სწავლის ხელმისაწვდომობა და შესაბამისი სერვისების განვითარებაა. აკადემიის პროგრამა, მისია და სტრატეგიული გეგმა სრულად ითვალისწინებს რეგიონის განვითარებას, ორგანიზაციის მიზნებს განახორციელოს ტურიზმის სწავლის სფეროს პროგრამები, რომლის საჭიროება დადგინდა ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთებიდან გამომდინარე პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მოთხოვნადია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასტუმრო მომსახურება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების“ და შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპებს, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისთვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა; C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება: ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/ განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა.
აკადემიას აღნიშნული მიდგომით წარმოდგენილი ჰქონდა „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 100 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, რომლის დასაბუთება არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობით დადასტურდა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**
„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს სააუდიტორიო ფართი, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ, არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად და ასევე პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისია მოდულებში არსებული თემატიკის, მითითებულია მოდულებში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „სასტუმრო დინასტიასთან“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. აღნიშნული განხორციელდება პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. „სასტუმრო დინასტია“-ს სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.
პროგრამის პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია პარტნიორი ორგანიზაცია „კურორტი საირმე“, რომელიც სასტუმრო მომსახურების პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს აკადემიასთან ერთად, რეალურ სამუშაო გარემოში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის N 006 ბრძანებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება“ შედგენილია ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“. მისი სახელწოდება შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების საფუძველზე და აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესის“ შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, დამტკიცების თარიღი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 80 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 110 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- აკადემიის მისი, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;
- აკადემიის დირექტორის 2024 წლის 12 აპრილის N 006 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ბაზრის კვლევის და პროგრამის დამატების დასაბუთების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი;
- უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება „სასტუმრო დინასტიასთან“;
- პრაქტიკის ობიექტთან (კურორტი საირმე) გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
აკადემიას პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო - 5 A გარემო, რომელიც აღჭურვილია 25 სკამით და მაგიდით და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ერთი მასწავლებლის მაგიდით, კომპიუტერით და პროექტორით, ასევე 1 B გარემო 27 კომპიუტერით. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. დაწესებულებას მოდულების: სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება- განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი და სასტუმრო დასუფთავების მომსახურეობის უზრუნველყოფა განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან. მემორანდუმით განსაზღვრულია კვირაში 10 საათი, 25 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის უზრუნველყოფა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს არეალთან სტუმარ-მასპინძლობის ელექტრონული სისტემით სარგებლობაზე - არეალის კუთვნილი ვებ-პლატფორმა, my.area.ly და ელექტრონული პროდუქტებით („არეალით სარგებლობა“) სარგებლობაზე. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული „სასტუმრო დინასტიასთან“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. აღნიშნული განხორციელდება პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. „სასტუმრო დინასტია“-ს სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.
ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 100 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**
პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “სასტუმრო მომსახურება“ სულ განახორციელებს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**თუმცა, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული.**
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით და პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია აკადემიის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკით და თანამდებობრივი ინსტრუქციით. იგი პროგრამას ხელმძღვანელობს აკადემიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და როგორც მისი პირადი საქმე ადასტურებს მას აქვს ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება/კვალიფიკაცია, მისი კომპეტენცია და შესაბამისობა დადასტურდა აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამებში საკანონმდებლო-ნორმატიული კომპონენტების სწავლების მიზნით კოლეჯს აქვს ავტორიზებული წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.
საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან - OpenBiblio.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.
ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა მიიღონ მსგავსი საჭიროების სტუდენტები, ადაპტირებული აქვთ გარემო.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---
---

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: საპროგნოზო შემოსავალს, ხარჯების ძირითად ნაწილს. საპროგნოზო ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარება და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი, პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 12 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ შედგება ფაქტობრივი ბიუჯეტი და შედარდება საპროგნოზო ბიუჯეტს, შედეგები გაანალიზდება და შესაძლოა მოხდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“;
- თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან;
- ხელშეკრულება შპს არეალთან სტუმარ-მასპინძლობის ელექტრონული სისტემით სარგებლობაზე;
- უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება „სასტუმრო დინასტიასთან“;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ხელშეკრულება ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან - OpenBiblio;
- მიღება ჩაბარების აქტი matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე;
- აკადემიის პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიაში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება/პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი ვრცელდება შემდეგ მიმართულებებზე: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება, სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, სასწავლო მასალისა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სწავლის შედეგის მიღწევა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, პროგრამის პერსონალის ცოდნა/უნარები, კომპეტენცია, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა უნარების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა, პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, აპლიკანტთა რეგისტრაციის/პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის/განთესვის/შენარჩუნების/სწავლის დასრულების და სხვ. მაჩვენებლები, სხვა კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგს ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად. შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მათი ინტერვიუთი დასტურდება მზაობა განახორციელონ და განავითარონ პროგრამა, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დამსაქმებლების ჩართულობითაც.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.ჰსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი ითვალისწინებს პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელებას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მტკიცდება აკადემიის მმართველი საბჭოს მიერ. აკადემიის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის მიზნისა და კურსდამთავრებულის კარიერული შესაძლებლობების დაზუსტება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; სწავლების მიდგომის შეცვლა/დამატება; მოდულების მე-3 ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; მატერიალური რესურსების ჩამონათვალის ცვლილება; პროგრამის/მოდულის განხორციელების ადგილის ცვლილება, მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტის ცვლილება; პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შემადგენლობის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება; სხვა სახის ცვლილებები, რომელთა განხორციელებაც აკადემიის კომპეტენციას განეკუთვნება.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად განახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით აკადემიაში განხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება/ცვლილებები დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- კვლევის კითხვარები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურება“ აქვს განხორციელების გეგმა და სასწავლო კალენდარი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების, პროგრამის განმახორციელებლების, დამსაქმებლების ჩართულობით.

**პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისისნი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის გადაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

აკადემიას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ რეჟიმში კომპონენტის გავლას, კერძოდ: თუ პროფესიულმა სტუდენტმა დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით, ვერ მიიღო დადებითი შეფასება; არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა აკადემია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტ(ებ)ს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში; პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების
გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა ამ წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, როცა არ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

აკადემიას პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს კურორტ საირმესთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

აკადემიას აქვს შენობის მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნები, უსაფრთხოების მართვის გეგმა, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დაწესებულება დაცულია კერძო კომპანიის უსაფრთხოების სისტემით, დამონტაჟებულია გარე და შიდა პერიმეტრის მარეგულირებელი ვიდეო თვალი, უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვის და რეაგირების სისტემით. აკადემიაში ხელმისაწვდომია პირველადი გადაუდებელი დახმარება და აკადემიას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა;
- სასწავლო კალენდარი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს: შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას და გამჭვირვალობას, შეფასების სახეებს (განმავითარებელი, შუალედური, განმსაზღვრელი), კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებებს, შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურას და შინაარსს, ვალიდაციის ზოგადი დებულებებს, შეფასების ინსტრუმენტის განახლებას, ვალიდაციის პროცედურას. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი,პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად. შეფასების ინსტრუმენტი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/ინსტრუმენტის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით. თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი/სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება ვალიდაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებს, ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი და შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი მიმართავენ დარგის სხვა სპეციალისტს ან პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, თუ ეს უკანასკნელი არ მონაწილეობდა ვალიდაციის პროცესში. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას ივსება ვალიდაციის კითხვარი, რომელსაც ხელს აწერს სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციის პროცესში ჩართული დარგის სპეციალისტი.

**ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელმაც დაადასტურა პროცესების წარმართვის მზაობა.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა, რომელიც ითვალისწინებს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, ვერიფიკატორების შერჩევას, ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟს, შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირებას, შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვას, ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენას, ინსტრუმენტის შინაარსობრივ შეფასებას ვალიდურობის თვალსაზრისით და მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმებას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით. ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს მოწვეულმა პირმა/პირებმაც. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ვერიფიკაციის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის თანახმად აკადემიაში შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. შეფასების პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულება-პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, თუმცა მისი სპეციფიკის, მოცულობის ან ზომის გამო შეუძლებელია შენახვა, ხდება მისი ფოტოგრაფირება და აღწერის დოკუმენტის შედგენა. მტკიცებულების აღწერის დოკუმენტი ფოტომასალასთან ერთად აკადემიაში ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან და წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება აკადემიაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით/ან ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქმნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია, შესრულების დრო. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის (მათ შორის ელექტრონული სახით) განადგურებისათვის, მისი განმკარგავი პირი მიმართავს აკადემიის დირექტორს. განადგურების პროცესი წარმოებს აკადემიის მიერ დადგენილი წესით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

აკადემიაში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი წარედგინება აკადემიის დირექტორს და განიხილება აკადემიის მმართველი საბჭოს სხდომაზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ანალიზის მიხედვით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების პროცესს აკვირდება აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | სასტუმრო, რესტორანი და კვება - 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2024 წლის 22 აპრილის N 008 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24;<br>ქ. ბაღდათი, ნინოშვილის ქ. N 10 – შპს „თხმელის ციხე“, საქართველო, საფოსტო ინდექსი 1000 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 100 პროფესიული სტუდენტი, ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N 24; ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. N 16, მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | ---- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ---- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | ---- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი, რომლის თანახმად არის შემუშავებული პროგრამა. აღნიშნულ წესში გაწერილია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძვლები, პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება, პროგრამის დამტკიცება და განხორციელების უფლების მოპოვება, განვითარება, ცვლილებების განხორციელება, პროგრამის გაუქმება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირთა ინფორმირებისა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სწავლების ენა.

აკადემიის მისიაში გაცხადებულია შექმნას რეგიონისთვის და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

პიროვნულ განვითარებას და ადაპტაციას თანამედროვე გლობალიზირებულ სისტემაში. კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მიზნებიც: ხარისხის კულტურის დანერგვა და განვითარება, ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარება, ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება და ცნობადობის გაზრდა, სწავლის ხელმისაწვდომობა და შესაბამისი სერვისების განვითარებაა. აკადემიის პროგრამა, მისია და სტრატეგიული გეგმა სრულად ითვალისწინებს რეგიონის განვითარებას, ორგანიზაციის მიზნებს განახორციელოს ტურიზმის სწავლის სფეროს პროგრამები, რომლის საჭიროება დადგინდა ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთებიდან გამომდინარე პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მოთხოვნადია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარიის ხელოვნება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია სტანდარტით მოთხოვნილ წინაპირობასთან, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების“ და შპს მსოფლიო განათლების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის მართვის დებულების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპებს, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A სასწავლო გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა; B სასწავლო გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისთვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა; C სასწავლო გარემო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. C სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება: ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ბ) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი; კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/ განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა.

აკადემიას აღნიშნული მიდგომით წარმოდგენილი ჰქონდა „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 100 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, რომლის დასაბუთება არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობით დადასტურდა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

„კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი აქვს სააუდიტორიო ფართი, რომელიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. რესურსები შესაბამისობაშია სტანდარტთან და რელევანტურია სწავლის შედეგების მისაღწევად. კერძოდ, არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად და ასევე პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისია მოდულებში არსებული თემატიკის, მითითებულია მოდულებში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „თხმელის ციხესთან“, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

უფლებით. აღნიშნული განხორციელდება პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შპს „თხმელის ციხის“ სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.

პროგრამის პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია პარტნიორი ორგანიზაცია „კურორტი საირმე“, რომელიც სასტუმრო მომსახურების პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს აკადემიასთან ერთად, რეალურ სამუშაო გარემოში.

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია შპს მსოფლიო განათლების აკადემიის დირექტორის 2024 წლის 22 აპრილის N 008 ბრძანებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „კულინარიის ხელოვნება“ შედგენილია ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“. მისი სახელწოდება შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების საფუძველზე და აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესის“ შესაბამისად. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, დამტკიცების თარიღი, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება, პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 80 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 95 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- აკადემიის მისი, ხედვა, ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- აკადემიის დირექტორის 2024 წლის 22 აპრილის N 008 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ბაზრის კვლევის და პროგრამის დამატების დასაბუთების დამადასტურებელი მტკიცებულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი;
- უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება შპს „თხმელის ციხესთან“;
- პრაქტიკის ობიექტთან (კურორტი საირმე) გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
აკადემიას პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო - 5 A გარემო, რომელიც აღჭურვილია 25 სკამით და მაგიდით და ერთი მასწავლებლის მაგიდით, კომპიუტერით და პროექტორით, ასევე 1 B გარემო 27 კომპიუტერით. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. აკადემიას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან. მემორანდუმით განსაზღვრულია კვირაში 10 საათი, 25 პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის უზრუნველყოფა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს არეალთან სტუმარ-მასპინძლობის ელექტრონული სისტემით სარგებლობაზე - არეალის კუთვნილი ვებ-პლატფორმა, my.area.ly და ელექტრონული პროდუქტებით („არეალით სარგებლობა“) სარგებლობაზე. აკადემიას უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „თხმელის ციხესთან“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების პრაქტიკის ობიექტზე წარსამართავად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლებით. აღნიშნული განხორციელდება პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების მიზანია: მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი აკადემიის ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე; პრაქტიკის ობიექტზე პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შპს „თხმელის ციხის“ სივრცეში, აკადემიის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება მიმდინარეობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელშიც გაწერილია „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 100 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**
პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას "კულინარიის ხელოვნება" სულ განახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
**თუმცა, სასურველია გაზარდოს პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა, განსაკუთრებით იმ მოდულებში სადაც მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს შერჩეული.**
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით და პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
_____
_____

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნები განსაზღვრულია აკადემიის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკით და თანამდებობრივი ინსტრუქციით. იგი პროგრამას ხელმძღვანელობს აკადემიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და როგორც მისი პირადი საქმე ადასტურებს მას აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მისი კომპეტენცია და შესაბამისობა დადასტურდა აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამებში საკანონმდებლო-ნორმატიული კომპონენტების სწავლების მიზნით კოლეჯს აქვს ავტორიზებული წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალურად დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველოდ გამოყოფილი ადგილით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან - OpenBiblio.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში.
ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მზაობა მიიღონ მსგავსი საჭიროების სტუდენტები, ადაპტირებული აქვთ გარემო.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნების“ განხორციელებისთვის შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს: საპროგნოზო შემოსავალს, ხარჯების ძირითად ნაწილს. საპროგნოზო ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურება, საკანცელარიო/საოფისე ნივთები, სახელმძღვანელო, პროფესიული განვითარება და სტუდენტური ღონისძიებები, კომუნალური გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯი, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ხარჯი, პერსონალის, მათ შორის პროფ. მასწავლებლების განვითარებაზე მიმართული ხარჯი, პრაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 10 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ შედგება ფაქტობრივი ბიუჯეტი და შედარდება საპროგნოზო ბიუჯეტს, შედეგები გაანალიზდება და შესაძლოა მოხდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
---
---

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“;
- თანამშრომლობის მემორანდუმი შპს კურორტ საირმესთან;
- ხელშეკრულება შპს არეალთან სტუმარ-მასპინძლობის ელექტრონული სისტემით სარგებლობაზე;
- უძრავი და მოძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება შპს „თხმელის ციხესთან“;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- ხელშეკრულება ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან - OpenBiblio;
- მიღება ჩაბარების აქტი matsne.gove.ge-ის პლატფორმაზე;
- აკადემიის პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

5. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
6. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიაში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი, რომლის დროსაც ხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება/პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი ვრცელდება შემდეგ მიმართულებებზე: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება, სასწავლო გარემოს, მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, სასწავლო მასალისა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სწავლის შედეგის მიღწევა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, პროგრამის პერსონალის ცოდნა/უნარები, კომპეტენცია, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა უნარების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა, პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები, აპლიკანტთა რეგისტრაციის/პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის/განთესვის/შენარჩუნების/სწავლის დასრულების და სხვ. მაჩვენებლები, სხვა კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგს ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად. შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით აკადემიის დირექტორის მიერ დამტკიცებული აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მათი ინტერვიუთი დასტურდება მზაობა განახორციელონ და განავითარონ პროგრამა, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დამსაქმებლების ჩართულობითაც.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი ითვალისწინებს პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელებას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მტკიცდება აკადემიის მმართველი საბჭოს მიერ. აკადემიის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის მიზნისა და კურსდამთავრებულის კარიერული შესაძლებლობების დაზუსტება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; სწავლების მიდგომის შეცვლა/დამატება; მოდულების მე-3 ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; მატერიალური რესურსების ჩამონათვალის ცვლილება; პროგრამის/მოდულის განხორციელების ადგილის ცვლილება, მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტის ცვლილება; პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შემადგენლობის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება; სხვა სახის ცვლილებები, რომელთა განხორციელებაც აკადემიის კომპეტენციას განეკუთვნება.

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად განახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით.

**ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით აკადემიაში განხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება/ცვლილებები დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუქმების წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- კვლევის კითხვარები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ აქვს განხორციელების გეგმა და სასწავლო კალენდარი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პირების, პროგრამის განმახორციელებლების, დამსაქმებლების ჩართულობით.

**პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისისნი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის გადაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

„კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს.

**ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

აკადემიას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ რეჟიმში კომპონენტის გავლას, კერძოდ: თუ პროფესიულმა სტუდენტმა დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგის გათვალისწინებით, ვერ მიიღო დადებითი შეფასება; არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა აკადემია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტ(ებ)ს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი; სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში; პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული კომპონენტების
გაუვლელობის შემთხვევაში, გარდა ამ წესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, როცა არ ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში; შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

აკადემიას პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს კურორტ საირმესთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

აკადემიას აქვს შენობის მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნები, უსაფრთხოების მართვის გეგმა, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დაწესებულება დაცულია კერძო კომპანიის უსაფრთხოების სისტემით, დამონტაჟებულია გარე და შიდა პერიმეტრის მარეგულირებელი ვიდეო თვალი, უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვის და რეაგირების სისტემით. აკადემიაში ხელმისაწვდომია პირველადი გადაუდებელი დახმარება და აკადემიას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ხელოვნების კულინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა;
- სასწავლო კალენდარი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

7. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
9. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს: შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას და გამჭვირვალობას, შეფასების სახეებს (განმავითარებელი, შუალედური, განმსაზღვრელი), კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებებს, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურას და შინაარსს, ვალიდაციის ზოგადი დებულებებს, შეფასების ინსტრუმენტის განახლებას, ვალიდაციის პროცედურას. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი,პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად. შეფასების ინსტრუმენტი წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს/ინსტრუმენტის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით. თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი/სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება ვალიდაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებს, ვალიდაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი და შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი მიმართავენ დარგის სხვა სპეციალისტს ან პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, თუ ეს უკანასკნელი არ მონაწილეობდა ვალიდაციის პროცესში. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას ივსება ვალიდაციის კითხვარი, რომელსაც ხელს აწერს სასწავლო პროცესის მენეჯერი და ვალიდაციის პროცესში ჩართული დარგის სპეციალისტი.

**ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელმაც დაადასტურა პროცესების წარმართვის მზაობა.**

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

**2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემა, რომელიც ითვალისწინებს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, ვერიფიკატორების შერჩევას, ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟს, შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირებას, შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვას, ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენას, ინსტრუმენტის შინაარსობრივ შეფასებას ვალიდურობის თვალსაზრისით და მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმებას. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით. ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს მოწვეულმა პირმა/პირებმაც. დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა ან ვალიდაციის პროცესში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ვერიფიკაციის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის თანახმად აკადემიაში შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. შეფასების პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულება-პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, თუმცა მისი სპეციფიკის, მოცულობის ან ზომის გამო შეუძლებელია შენახვა, ხდება მისი ფოტოგრაფირება და აღწერის დოკუმენტის შედგენა. მტკიცებულების აღწერის დოკუმენტი ფოტომასალასთან ერთად აკადემიაში ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია სწავლის შედეგის დადასტურებასთან და წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება აკადემიაში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით/ან ან რჩება აკადემიაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქმნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია, შესრულების დრო. სასწავლო პროცესის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

შექმნილი პროდუქტის (მათ შორის ელექტრონული სახით) განადგურებისათვის, მისი განმკარგავი პირი მიმართავს აკადემიის დირექტორს. განადგურების პროცესი წარმოებს აკადემიის მიერ დადგენილი წესით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

აკადემიაში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი წარედგინება აკადემიის დირექტორს და განიხილება აკადემიის მმართველი საბჭოს სხდომაზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების პროცესს აკვირდება აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---

## X. თანდართული დოკუმენტაცია

06/08/2024



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

---